

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №004/17¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი მარიამ გაჩეჩილაძე

შეკითხვა

ადვოკატი ამჟამინდელი კლიენტის დასაცავად მისი ყოფილი, გარდაცვლილი კლიენტის შესახებ დისკრედიტაციული ინფორმაციის გავრცელებით დაარღვევს თუ არა კონფიდენციალობის პრინციპს.

სამართლებრივი მსჯელობა

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი - მუხლი 5(დ)). კონფიდენციალური ინფორმაცია დაცული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით... კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში... ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის წინააღმდეგ... (ეთიკის კოდექსი, მუხლები 4.1, 4.2, 4.3).

კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატის ვალდებულებაა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, ინფორმაცია, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვა.

როგორც შეკითხვიდან ირკვევა, ადვოკატს სურდა, რომ მისი ამჟამინდელი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოეყენებინა მისი ყოფილი კლიენტის - გარდაცვლილი პირის შესახებ ინფორმაცია. თავისთავად, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება არ არის აკრძალული, თუ დაცული იქნება საადვოკატო საქმიანობის პრინციპები. მოცემულ შემთხვევაში, ყოფილი კლიენტის საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციის გამჟღავნება მისი დისკრედიტაციის მიზნით, დაუშვებელია. გასული დროის მიუხედავად და კლიენტის გარდაცვალების შემდეგაც, ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს და არ გამოიყენოს მის საწინააღმდეგოდ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული ინფორმაცია.

დასკვნა

ადვოკატი დაარღვევდა კონფიდენციალობის დაცვის პრინციპს, თუ მისი გარდაცვლილი კლიენტის შესახებ ინფორმაციას გაამჟღავნებდა და გამოიყენებდა მისი დისკრედიტაციის მიზნით, არსებული კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

¹ ეთიკის კომისიის 2017 წლის 19 მარტის რეკომენდაცია 004/17
<https://gba.ge/pdf/5c7402c9d3b7f.pdf/19%20March%202017%20004.17.pdf>